

შახხვილი ო-ს შემხვედ ანსად და ანსადის გზით შემოსად სიყვანთა გადმოცემა ქართულში

უმახვილო ო-ს რუსულში არა აქვს ერთგვარი წარმოთქმა. მიუხედავად ამისა მისი ქართულად გადმოცემის საკითხი უფრო მარტივია, ვიდრე ე-სი.

ჩვეულებრივ გავრცელებულია აზრი, თითქოს რუსული უმახვილო ო უდრის a-ს (ე. ი. თითქოს წარმოითქმებოდეს როგორც ა). მართლაც, რუსული ენის ძლიერი „აურობის“ მქონე დიალექტებში (მაგალითად, სამხრეთ ველიკორუსულში) ეს ასეა. მაგალითად: городской, хорошо, голова... წარმოითქმის ასე: городско́й, харашо, галава... მაგრამ რუსულ სალიტერატურო ენაში უმახვილო ო წარმოითქმის a-დ მხოლოდ მახვილისწინა პირველ მარცვალში; დანარჩენ მარცვლებში კი უმახვილო ო არ წარმოითქმის სავსებით ერთნაირად, მაგრამ ის არ არის a და შეგვიძლია მივიჩიოთ ერთგვარ (რედუცირებულ) ხმოვნად, რომელიც საშუალოა a-სა და ხ-ს შორის (სახელდობრ ა, ქართ. ე).

ჩვენ რომ აუცილებლად ვცნობთ ფონეტიკური გადმოცემა რუსული უმახვილო ო-სი და გადმოვიღოთ იგი ა-თი, ეს იქნება დიალექტის (სამხრეთ ველიკორუსულის) და არა ლიტერატურული ენის მიხედვით გადმოღება. მაგრამ, საერთოდ, ფონეტიკურად გადმოცემა არ იქნება მართებული, რადგანაც ამ შემთხვევაში ფონეტიკურადვე უნდა გადმოგვეღო სიტყვის ბოლოში ან ყრუ თანხმოვანთა წინ დაყრუებული თანხმოვნები (მაგალითად, ასე: ლერმანტაჟი, დახტეჟსკი და სხვ.). ვარდა იმისა, რომ ასეთი გადმოღება უმართებულოა, იგი არც შესაძლებელია, რამდენადაც რედუცირებული ხმოვნისათვის ქართულ დამწერლობაში ნიშანი არ მოგვეპოვება, რადგანაც ასეთი ხმოვანი ქართულს არ აქვს.

ქართულში ამჟამად რუსული ენიდან შემოსული ო-ს შემცველი სიტყვები სხვადასხვაგვარი დაწერილობით გვხვდება. მაგალითად, ერთი მხრით, გვხვდება კამოდი, კამიკი, ლატარია, ხალდათი..., ხოლო, მეორე მხრით, კომისია, მონეტა, ოდეკოლონი, ოფიცერი...

ხალდათის ტიპის სიტყვები შემოსულია ქართულში მეტწილად ზებირი გზით, ხოლო კომისიის ტიპისა—მეტწილად წერილობითი გზით.

პირველი ტიპის სიტყვებისაგან ზოგიერთი ლიტერატურულ ენაშიცაა შემოსული წარმოთქმის თანახმად და დამკვიდრებულია ამვე სახით. ასეთი სიტყვების რიცხვი მცირეა. უფრო მრავალრიცხოვანია ისეთი სიტყვები, რომელთა დაწერილობისას ქართულში მერყეობაა, რუსული უმახვილო ო ხან ო-თია გადმოცემული და ხან ა-თი და ამის გამო პარალელური ფორმები ჩნდება. მაინც, უკანასკნელ ხანებში ო-თი გადმოცემაა გაბატონებული.

მე-19 საუკუნის მწერლობის ენაში ასეთი სურათი გვაქვს:

o გადმოცემულია ა-თი

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა ა ფ ი ც ე რ მ ა თითებზედ იკონა (ილია).

დევუგდევო ყური ამ აფიკერს (ილია).
 მიღლობა ღმერთს, აფიკრობა და ჩინოვნილობა ბევრი მოდის (ილია).
 თავი დაუკრა აფიკერმა (ა. ყაზბ.).
 თავად ერისთავს კარგი უნებებია, ... რომ კაზლოვი ამოურჩევია (ილია).
 ჩინოვნიკის კაკარდასაც დიდი მნიშვნელობა აქვს (გ. წერ.).
 აქ კამანდაცა დგას (ა. ყაზბ.).
 კამფეტები ვეყიდვ (შ. არაგვ.).
 მოიტუზებოდა სტამბას კანტორაში (გ. წერ.).
 დღე-ღამეში ცხვარზედ კაპეიკი უნდა ვაძლიოთ (ა. ყაზბ.).
 ერთ ან ორ კაპეიკს აძლევდა ამ მათხოვარს (ე. ნინოშ.).
 ყაზახები გადმოვიდნენ სალდათების მხარეს (ა. ყაზბ.).
 ინსტიტუტის კარიღოში ყველაზე პირველად მოგვეგებებოდით (გ. წერ.).
 ბახვამ გაიმართა თავისი საკუთარი კანტორა (გ. წერ.).
 ა, მიირთვი თორმეტი კაპეიკი (ნ. ლორთქ.).

ი გადმოცემულია ო-თი

ტფილისის ვოგზალზე რამ ჩამოხტა, აერია გზა-ველი (ე. ნინოშ.).
 კოკარდის დანახვაზე იმ ცაცს საზე ეგუზუნებოდა (გ. წერ.).
 მრავალი მათგანი ამ ნიწარმოებში სველიდა... სხადასხვა კოლონიის
 საქონელს (გ. წერ.).
 მთავრობის კომისია დაესხა თავს (გ. წერ.).
 ბევრ კომპლიმენტს უძღვნიდა მელანისს (ე. ნინოშ.).
 გაბკოთბინა გულისთვის კომპრესი (ე. ნინოშ.).
 ამ დროს ნაცნობმა კონდუქტორმა შემოძვრა ფეხი (გ. წერ.).
 კონდუქტორი გამოხვეულს მოგართმევ (გ. წერ.).
 ორგანიზში განუერთარებელი აქვს (ე. ნინოშ.).
 ასუნებინა ოდეკოლანი (ე. ნინოშ.).
 სტაცა ხელი საქვოთაჟს (გ. წერ.).
 ტყუილად ჩაიარა... პროკურატორთან... სირბილმა (ე. ნინოშ.).
 რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა რაინდებს ცეკობრიობის პროგრესში?
 (ე. ნინოშ.).

ამჟამად სალიტერატურო ენაში ასეთ მერყეობას ადვილი აღარ აქვს. ამ
 ტიპის სიტყვები ჩვეულებრივ ო-თია გადმოცემული. ასეთებია: **ბოლშევიკი, კო-**
მისია, კომანდა, ვედრო, კოლონია, კომიტეტი, კომპრესი, კოსტიუმი, მონეტა,
ოდეკოლონი, ოპერაცია, ოფიცერი, პროვინცია, კოლეგია, კოლენკორი, კო-
ლექცია, კომერცია, კომისარი, კომისიონერი, კომპენსაცია, კომპლექტი, კომ-
პოზიტორი, კომპოტი, კომუტატორი, კონდუქტორი, კორექტურა, კონტაქტი,
კონტრაქტი, კონტროლი, კონტუზია, კონცერტი, პოზიცია და მრავალი სხვა.

აღამინათა გვარებისა და გეოგრაფიული სახელებისაგან:

გოდუნოვი, დოსტოევსკი, ბოგოლიუბოვი, ბოროდინი, ლომონოსოვი,
ოსტროვსკი... პოლტავა, მოვილიოვი, ორიოლი, ბობრუისკი, ბოროდინო,
ონეგის ტბა...

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში
 უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

1. უმახვილო ი-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყ-
 ვები, აგრეთვე საკუთარი სახელები და გვარები და გეოგრაფიული სახელები ქარ-
 თულში გადმოიცეს ო-თი.

მაშასადამე, გვექნება: **ტოლსტოი** (და არა **ტალსტოი**), **დოსტოევსკი** (და
 არა **დასტაევსკი**), **ბორის გოდუნოვი** (და არა **ბარის გადუნოვი**), **ლომონოსოვი**,

გრიბოედოვი, ვორონცოვი, ბოროდინი, ოსტროვსკი... ორძოლი, პოლტავა, ოდე-
სა, ბოზრუისკი, ბოროდინო, კოლომნა, ლოზოვია, ბოკალი, ვედრო, კომპა-
ნია (ამხანაგობა), კომპოტი, კოსტიუმი, ოფიცერი, კოლეგია, კოლონა, პომი-
დორი და მრავალი სხვა, ისევე როგორც საყოველთაოდ გავრცელებული და და-
მკვიდრებული დაწერილობები: ბოლშევიკი, კომუნისტი, კომისარი, კომიტეტი,
პოლკოვნიკი, კომისია, ოპერაცია, კოლექცია, კომპილაცია, კორექტორი, კონ-
ცერტი, პოზიცია და მისთ.

2. რუსულიდან შემოსული რუსული თუ უცხოური სიტყვები, რომლებშიც
უმახვილო 0 ა-თია გადმოცემული და ასეა დამკვიდრებული როგორც ზეპირს მე-
ტყუველებაში, ისე სამწერლობო ენაში, გამონაკლისის წესით უნდა დატოვებულ
იქნეს ამ სახითვე. ეს სიტყვებია: კანტორა, კატლეტი, კაპიკი, კამოდი, ლატარია.

შენიშვნა 1. ო-თი გადმოიცემა კომპანია (компания, ფრ. compagnie =
ამხანაგობა); სხვა კამპანია—кампания, ფრ. campagne, იტალ. campagna (საარ-
ჩევნო კამპანია, თესვის კამპანია).

შენიშვნა 2. ქართულში გარჩეული დარჩება კანფეტი (конфета, იტალ.
confetto) და კონფეტი (конфетти, იტალ. confetti).

შენიშვნა 3. ა-თი დარჩება ქართულში სიტყვა ხალდათი, რომელიც ზე-
სირი გზითაა შემოსული და არა ლიტერატურულით. ოღონდ მას ისტორიული
ქნიშვნელობაა აქვს შერჩენილი, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მის
ნაცვლად იხმარება ქართული ჯარისკაცი.